



# გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია:

სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო

საზოგადოებრივი კოლეჯის პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის N

ნ.მანჯავიძე

დირექტორი

ცვლილება შესულია:

ბრძანება №1/16,

28.06.2019წ.

## სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ეთიკის კოდექსი

ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი (შემდგომში – „კოლეჯი“) დაფუძნებულია ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე საქართველოს მთავრობის 2011 წლის 20 ივლისის №288 დადგენილებით. კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც უფლებამოსილია განხორციელოს ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენის, ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამები.

### მუხლი 1. კოლეჯის მიზნები

ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი თავისი მიზნების მისაღწევად:

- ა) სამუსიკო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
- ბ) მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
- გ) პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება;
- დ) პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება;
- ე) სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელება;
- ვ) ტრენინგურებისა და პროგრამების განხორციელება არაფორმალური განათლების ფარგლებში;
- ზ) სკოლისგარეშე სახელოვნებო (სამუსიკო) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე), რომლებსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;
- თ) ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან /დაწესებულებებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით;
- ი) გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან;

## 2. ეთიკის კოდექსის დანიშნულება და გამოყენება

2.1. კოლეჯის ეთიკის კოდექსი განკუთვნილია კოლეჯის ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის. იგი კოლეჯის ღირებულებების, კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, ადგენს ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, პროფესიული მასწავლებლების, მოწვეული პედაგოგების და პროფესიული სტუდენტების კონტინგენტის ქცევის ნორმებს, მათ შორის წამოჭრილი ეთიკური პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს.

2.2. ამ კოდექსის მიზანია ჩამოაყალიბოს პრინციპები, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებმა, მასწავლებლებმა, და სტუდენტებმა.

2.3. ეთიკის კოდექსი შემუშავებულია კოლეჯის ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების და ახრთა გაცვლის საფუძველზე. იგი მოქმედებს სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად და განახლებადია.

## მუხლი 3. ეთიკის კოდექსის პრინციპები და სტანდარტები

### 3.1. პროფესიული მასწავლებლები:

პროფესიული მასწავლებლების ძირითადი მოვალეობაა აღზარდონ და ჩამოაყალიბონ მაღალი პროფესიული დონის ახალგაზრდა სპეციალისტები. ამ მიზნით:

### 3.2. სასწავლო პროცესი

ა) სასწავლო პროცესი უნდა წარმართონ კოლეჯის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო გეგმის მიხედვით;

ბ) დარგის შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებების კვლადაკვალ, პერიოდულად უნდა განაახლონ სალექციო კურსის თემატიკა და სტრუქტურა, ინდივიდუალური მეცადინეოები, სრულყონ მათი წარმართვის მეთოდოლოგია;

გ) გაუწიონ სტუდენტებს ინტელექტუალური და პრაქტიკული ხელმძღვანელობა.

### 3.3. სტუდენტებთან ურთიერთობა

პროფესიული მასწავლებლების საქმიანობა და სტუდენტებთან ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ეთიკურ ნორმებს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს არამარტო შრომისმოყვარე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, არამედ ქვეყნის პატრიოტი, პატიოსანი და კანონმორჩილი მოქალაქეების ჩამოყალიბებას. ამ მიზნით:

ა) პროფესიული მასწავლებელი ლექციაზე უნდა შევიდეს დროულად, ჯეროვან დონეზე მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული. არ უნდა დაუშვას ლექციის დროზე ადრე დამთავრება, ან გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე. დანიშნულ დროს დადგენილი წესის შესაბამისად, ჩაატაროს გამოცდა და შეაფასოს ყველა გამოცხადებული სტუდენტის ცოდნა;

ბ) შექმნას ყველა საჭირო პირობა პატიოსანი და გამჭირვალე სასწავლო გარემოს ფორმირებისათვის; შეიმუშაოს და დანერგოს სწავლებისა და შეფასების ისეთი მეთოდები, რომლებიც განაპირობებს სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას და გამორიცხავს პლაგიატს და პროფანაციას; ხელი უნდა შეუწყოს მოსაზრებათა და შეხედულებათა გაცვლას, რათა ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით, გამოირიცხოს სხვადასხვა პრობლემის წარმოშობა;

გ) სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ ამომწურავი ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ; უნდა გამოირიცხოს შეფასებაზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორცაა: ფავორიტიზმი, პროტექციონიზმი, რელიგიური, რასობრივი, ეთნიკური, თუ პოლიტიკური კუთვნილება, სოციალური, ოჯახური მდგომარეობა და სხვა; დაუშვებელია ამ ფაქტორებით სტუდენტთა დისკრიმინაცია;

დ) მიუღებელია სტუდენტების შესაძლებლობათა გამოყენება პირადი გამორჩენის მიზნით, ან კოლეჯებთან პროფესიული უთანხმოების ინსტრუმენტად.

### 3.4. ეთიკის ნორმების დაცვა

პროფესიული მასწავლებლების მიერ ეთიკური ნორმების დარღვევისათვის დაწესებულია კოლეჯის შინაგანაწესით და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით დადგენილი ზომები.

### 3.5. კოლეგებთან ურთიერთობა

ა) პროფესიულმა მასწავლებელმა და მოწვეულმა პედაგოგმა პატივი უნდა სცეს კოლეგების აკადემიურ დამოუკიდებლობას, სამართლიანად და ობიექტურად უნდა შეაფასოს მათი საქმიანობა და ნაშრომები; კოლეჯის კრიტიკა უნდა იყოს კონსტრუქციული, არ უნდა გააკეთოს უხეში და მიუღებელი კომენტარები კოლეჯის სწავლების მეთოდებზე, დაუშვებელია კოლეჯის დამცირება, შეურაცხყოფა ან ანონიმურად დადანაშაულება.

ბ) პროფესიულმა მასწავლებლებმა თანაბრად და სამართლიანად უნდა გადაინაწილონ კონფლიქტის მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები, აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ კოლეგებს პროფესიული განვითარების საქმეში.

### 3.6. ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ურთიერთობა

ა) პროფესიულ მასწავლებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და დამხმარე პერსონალს შორის უნდა არსებობდეს პატივისცემაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. რომელიმე მხრიდან დაუშვებელია დისკრიმინაცია.

ბ) პროფესიულმა მასწავლებლებმა არ უნდა გამოიყენონ ადმინისტრაციის წარმომადგენლები და დამხმარე პერსონალი საკუთარი გამორჩენის მიზნით, არ უნდა მოითხოვონ კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათები და დათმობები, რაც ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა თუ დამხმარე პერსონალს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს.

### 3.6. კოლეჯი და პროფესიული მასწავლებლები

ა) პროფესიული მასწავლებლები კოლეჯის ძირითადი საქმიანობის წარმმართველი ძალაა. ამ პერსონალის წარმომადგენლები ვალდებული არიან სისტემატურად იღვწოდნენ პროფესიული დონის ასამაღლებლად. ამასთან, პროფესიულ მასწავლებლებს ეკისრებათ მოვალეობა მიიღონ აქტიური მონაწილეობა კოლეჯის საზოგადოებრივ თუ საორგანიზაციო საქმიანობაში.

ბ) პროფესიულმა მასწავლებლებმა თავი უნდა შეიკავონ კოლეჯის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა, თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის კოლეჯში მათი მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელებას.

გ) პროფესიულმა მასწავლებლებმა დანიშნულებისამებრ და ეფექტიანად უნდა გამოიყენონ კოლეჯის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები კონსერვატორიაში საქმიანობის სრულად განსახორციელებლად.

დ) პროფესიული მასწავლებლები სამართლიანად და პატივისცემით უნდა მოეპყრონ კოლეჯის ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს.

ე) პროფესიულმა მასწავლებელმა დროულად უნდა აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას სამსახურის დატოვების შესახებ.

## მუხლი 4. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

4.1. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მოვალეობაა კოლეჯში შექმნას სასწავლო-პრაქტიკული საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი მორალური, ფინანსურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარემო.

4.2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი პატივს უნდა სცემდეს კოლეჯს და მის ტრადიციებს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს მოეპყროს სამართლიანად და პატივისცემით. ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც გამორიცხავს თანამშრომლებისა და სტუდენტების დისკრიმინაციას სქესისა და ასაკის, რასობრივი, ეთნიკური, პოლიტიკური ან რელიგიური კუთვნილების საფუძველზე.

4.3. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას; ხელს უწყობდეს საზოგადოებაში კოლეჯის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას. ამ მიზნით:

ა) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უნდა ემორჩილებოდეს კოლეჯის მიერ დადგენილ წესებს, პროცედურებს და არსებულ კანონმდებლობას;

ბ) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენელი არ უნდა მონაწილეობდეს კოლეჯის ისეთ კომერციულ საქმიანობაში, საიდანაც მას, ან მისი ოჯახის წევრს პირადი

სარგებელი გააჩნია. ეს კვალიფიცირდება, როგორც ინტერესთა კონფლიქტი და თავიდანვე უნდა აღიკვეთოს;

4.4. ადმინისტრაციულმა და დამხმარე პერსონალმა, კოლეჯის საჭიროებისათვის, ეფექტიანად უნდა გამოიყენოს კოლეჯის ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები.

4.5. ადმინისტრაციის წარმომადგენელმა და დამხმარე პერსონალმა არ უნდა გაამჟღავნოს პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა ლეგიტიმური საჭიროებისა.

4.6. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლების მიერ ეთიკური ნორმების დარღვევისათვის გათვალისწინებულია კოლეჯის შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით დადგენილი ზომები.

## მუხლი 5. პროფესიული სტუდენტები

5.1. პროფესიული სტუდენტები ვალდებული არიან პატივი სცენ კოლეჯს, სადაც ისინი ცოდნას ეუფლებიან. ისწავლონ, მონაწილეობა მიიღონ შემოქმედებით აქტივობებში, დაიცვან ეთიკის კოდექსში არსებული მოთხოვნები და ამით ხელი შეუწყონ კოლეჯის ავტორიტეტის ამაღლებას, ამასთანავე ზედმიწევნით დაიცვან კოლეჯთან დადებული ხელშეკრულების პირობები.

5.2. პროფესიულმა სტუდენტმა პატივი უნდა სცეს კოლეჯის პერსონალს. პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში მათი გადაჭრა უნდა მოხდეს კოლეჯში არსებული წესდების, შინაგანაწესის, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებისა და ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

5.3. პროფესიული სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

1) შეურაცხყოფის მიყენება, ძალადობა სხვა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და მოწვეული პედაგოგების მიმართ.

2) აკადემიური სიყალბე, რაც გულისხმობს:

ა) გადაწერას სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან სხვა სახის დამხმარე მასალის გამოყენებას, რომელიც მასწავლებლის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული;

ბ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარებას ან თხოვნას სხვა პირისათვის, რომ მის მაგივრად ჩაბაროს გამოცდა;

გ) კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებას გამოცდის შესახებ;

დ) სხვა პირის ნამუშევრის როგორც საკუთარის წარმოჩენას;

ე) წყაროს მითითების გარეშე სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირებას – პლაგიატს;

ვ) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვას, განადგურებას, ან შეცვლას;

ზ) ხელის შეშლას სხვა სტუდენტისათვის სწავლასა და პრაქტიკის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;

თ) სხვა სტუდენტისათვის ხელის შეწყობას აკადემიურ სიყალბეში;

ი) მოპოვებული ფაქტობრივი ინფორმაციის გამოყენებას ან გაყალბებას;

კ) კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას;

ლ) შეფასების მიღების მცდელობას გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური, ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა, თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით.

5.4. აკადემიური სიყალბის დაფიქსირების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს შესაბამის სტრუქტურას.

5.5. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს კოლეჯის საქმიანობის მარეგულირებელ წესებს.

5.6. პროფესიული სტუდენტისათვის არაეთიკურ და კანონსაწინააღმდეგო ქცევად ჩაითვლება თამბაქოს მოწვევა კოლეჯის შენობაში.

5.7. პროფესიული სტუდენტის მიერ ეთიკური ნორმების დარღვევისათვის დადგენილია კოლეჯის შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული ზომები.

5.8. კოლეჯის სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;

ბ) გაუფრთხილდეს კოლეჯის კუთვნილ ქონებას. აღნიშნული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტს ეკისრება მატერიალური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, რაც დაიქვითება მისი სწავლის საფასურიდან.

5.9. კოლეჯი ვალდებულია “პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, წესდების, შრომის შინაგანაწესის, კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად დაიცვას სტუდენტის უფლებები.

## **მუხლი 6. დასკვნითი ნაწილი**

6.1. პიროვნების პასუხისმგებლობა იზრდება ნორმების განმეორებითი დარღვევის ან დისციპლინური გადაცდომის ხარისხის პროპორციულად.

6.2. სასწავლო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლის, ასევე პროფესიული მასწავლებლების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება, შესაბამისად, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. მიღებული გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირს წერილობით უნდა ეცნობოს. გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული.

6.3. პროფესიული სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს წვევტს კოლეჯის პედაგოგიური საბჭო, კოლეჯის წესდების, შინაგანაწესის, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების, ეთიკის კოდექსისა და “პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს თავისი საქმის განხილვას და ისარგებლოს კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.